საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №75/2024

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი თვითმმართველი თემების - სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 2024 წლის 27 აგვისტო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 28 თებერვლის №11 განკარგულების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №62.11 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ საკრებულოს წევრს მიხეილ თავართქილაძეს ვადამდე შეუწყდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის №გ-63.63241662 განკარგულების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის №54.11 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საკრებულოს წევრის ილია მჟავიას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 154-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით თვითმმართველი თემის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №62.11 და თვითმმართველი თემის - სამტრედიის მუნიციპალიტეტის №54.11 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში

მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები გაიმართოს 2024 წლის 26 ოქტომბერს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**